საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 8 19 00625024

23/05/2019

საქართველოს რეფორმების ასოციაცია
„ფაქტრ მეტრის" რედაქტორს
ბატონ დავით ქუტიძეს
ელ. ფოსტა: irina_gurgenashvili@yahoo.com

ბატონო დავით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში წარმოდგენილ თქვენ განცხადებასთან (სამინისტროში რეგისტრაციის N569589; 15.05.2019) დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების, "საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „ბ" პუნქტის გათვალისწინებით, გაცნობებთ, რომ:

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით დღეის მდგომარეობით, საქართველოში არის 2085 საჯარო სკოლა, 227 კერძო სკოლა.
- მოცემული დროისათვის, 1312 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური 486 საჯარო სკოლაში უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შეადგენს 750 ლარს (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით);
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოვლენილი ფაქტებისა და დარღვევების დაფიქსირებას უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;
- ამასთანავე, მოთხოვნილი ფორმის შესაბამისად, დანართის სახით, წარმოგიდგენთ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების სახელფასო ფონდის/სხვა ხარჯების თაობაზე ინფორმაციას, ასევე 2018-2019 (აპრილის თვის ჩათვლით) წლებში, სკოლის მოსწავლეებში გამოვლენილი დარღვევების სტატისტიკას იმ საჯარო სკოლებიდან, სადაც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურია წარმოდგენილი.

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

დანართი: „01" ელექტრონული ფაილი;

პატივისცემით,
საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი საჯარო მოხელე

ადმინისტრაცია / საქმისწარმოების სამმართველო
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
გურამიშვილი თინათინ